კოლექტიურიზმი ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ჟ. ჟ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 8 აგვისტო, 1942 წ. № 186 (6502). ფასი 15 კაპ.

ზურგში გმირული შრომით დავაჩქაროთ მტრის განადგურება

სოციალისტური მრეწველობა მძლავრ შემოქმედებითის ალმავლობას განიკვდის. ფრონტი სულ უფრო და უფრო მეტ საომარ მასალას, იარაღსა და სამეურველო ღონეღლობს ეერაგი მტრის განსაფდგურებლად. რაც უფრო მეტია საფრონტე, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს, მით უფრო ათავკეცებენ ძალას საბჭოთა პატრიოტები ფრონტზე და ზურგში. ჩვენი მრეწველობის შუაკაფი ,ამოცანები ამეამად სხვა არაფერია, თუ არა იმის გაკეთება, რასაც ფაშისტ აგრესიათა სრული განადგურებისათვის მოითხოვს წითელი არმია ფაბრიკებისა, ქარხნებისა, ზახტებისა და მაღაროებისაგან, რკინიგზებისა და ზურგის თითოეული შრომელისაგან, რასაც მოითხოვს ჩვენი გამარჯვების ინტერესები. სოციალისტური მრეწველობა და ტრანსპორტი, დიდი სამამული ომის ღღეებ„ში საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი, წარმატებით ასრულებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს. მაგრამ მტრის სრული განადგურების ამოცანა მოითხოვს მიღწეულზე კი არ შეეჩერდეთ, არამედ დაუცხრომლად ვიბრძოლოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, გადაჭარბებით შეასრულოთ გეგმები, ეიუმკობესოთ შრომის ორგანიზაცია, რათა ომისშინის ეროის სტახანოველთა მამაცობა და ვგმირობა თითოეული რიგითი სუპაალო მუშის საქმედ ეაქციოთ. გეგმას სისტემატიურად უნდა ასრულებდეს ყველა ფაბრიკა-ქარხანა, მაღარო და ზახტი, საამქრო და ცალკა, ბრიგადა და დაზგა, თითოეული მუშა. ამას მოითხოვს სოციალისტური სამშობლოს ინტერესები, ეერაგი მტრის განადგურების ამოცანები.

სრულიად - საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მრეწველობისა მძლავრი ალმავლობა გამოიეწია. ნაკლები მუშა-ხელით მეტი პროდუქციის დამზადება—აი რისთვის იბრძვიან შრომის ფრონტზე მამაკი საბჭოთა პატრიოტები. მათ იციან, რომ ზურგში გმირული შრომა აჩქარებს ეერაგ მტერზე ჩვენს გამარჯვებას.

ეკლესში ჩვენმა მრეწველობამ უკეთესად იმუშაკა, ვიდრე ივნისში. მიმდინარე თვეშ გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები უნდა მოგვცეს.

რით შეიძლება ამის მიღწევა?

საბჭოთა საკართველოს მრეწველობის მუშაკებს ეროანდიოზული შესაძლებლობანი აქვთ თვიდან თვემდე გადაღიარნ პროდუქციის გამოშვება, მაკსიმალურად გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული დიდძალი რეზერვები. ამისათვის საჭიროა სამეურნეო მუშაკებმა გამოიჩინონ მეტი ინიციატივა, გამჭრიახობა, პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დარაზმონ მთელი ძალები საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფართო გასაქანი უნდა მივეცეთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები. ამის შედეგად, რომ სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალთაგარსარემონტო ქარხნის № 26 საამქროს ივლისში რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება განახორციელა, ტექნოლოგიური პროცესი გაუმჯობესა და სწორად გაანაწილა ძალები, გეგმა 140 პროცენტით შესასრულა. ამ საამქროში ამხ. ი. ხაჟალიამ განახორციელა ისეთი წინადადება, რომელიც 8 საათის ნაცვლად 4 საათში უზარმეველეყოფს ერთი სპეციალური ლეტალის დამზადებას. დროის განაზეგრებას! ეს ლოტას ოროი ნიშნავს. და რამდენი ასეთი წინადადების აეტორები ჰყავს ჩვენს ქვეყანას? რამდენიც გსურთ. მხოლოდ საჭიროა დაეეხმაროთ მათ, ხელი შეეწყოთ, განვახორციელოთ მათი საქმითნი, წარმოების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებანი. ეს მძლავრ ალმავლობას შეუქმნის მრეწველობაში, ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მეტ პროდუქციას მისცემს.

ინიციატივა და გამჭრიახობა ახლა ყველაზე მეტად არის საჭირო ბრძოლის ფრონტზე, ასევე საჭიროა ზურგში, შრომის ფრონტზე. კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში საჭირო შეიქნა სწრაფად დაეეზადებინათ ერთი დეტალი. ეს სპეციალური შეკვეთა იყო. მაგრამ არ იყო საამისო დაზგა. კიროველებმა სწრაფედ აქ გამოიჩინეს გამჭრიახობა და ინიციატივა. მექანიკური საამქროს უფროსი რუფანიჩეკო, ქარხნის საწარმოო განყოფილების ინეენერი ნიკარაძე და კომკავშირის კომიტეტის მდგივანი გეგელიძე იმ დასკვნამდე მიეიდნენ, რომ ოდესღაც მწყობრიდან გამოსული დაზგით შესძლებდნენ ამ დავალების შესრულებას. მათ ათმოეეიმედეს დაზგა და სპეციალური სასწრაფო შეკვეთა ერთი ღღით ადრე შესრულეს. რამდენი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება ჩვენი მრეწველობის სინამდვილიდან და რა ზმრიად შეუძლიათ გამოიჩინონ ინიციატივა საბჭოთა პატრიოტებმა, თუ ადგილზე საწარმოთა დირექტორები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, გამომგონებლობის ბიუროები ყველგან კონკრეტულად მოაკიდებენ საქმეს ხელს, დაეხმარებიან რაციონალიზატორებს ინიციატიაში, ,მოსაზრებულობა და გამჭრიახობა ნამდვილი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკის განუყოფელი თვისებაა. ასეთი მუშაკი, როგორი რთული დავალებაც არ უნდა მიიღოს, კი არ დაიბნეეა, ფაციფუცს კი არ დაიწყებს, საქმეურნეო ორგანიზაციას კი არ დაკარგავს, არამედ ადგილობრივ გამონახავს ძალებსა და საშუალებებს მის შესასრულებლად. ეს ასეთი მუშაკი ხელს უწყობენ მრეწველობის მძლავრ ალმავლობას, ისინი უზრუნველყოფენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებას არამარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც.

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკამ ივლისში გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. ეს იმიტომ მოხდა, რომ იქ ხარისხს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ, სისტემატურად ინალიზებენ ამ საკითხს და სახავენ ღონისძიებებს ხარისხის დაცვისათვის. მაგრამ ზოგიერთ საწარმოში ამ საკითხს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, ხარისხის კომპენსირებას რაოდენობით. ცდილობენ, რაც სწორი არ არის. ასე ხდება, მაგალითად, თბილისის ბეჩოის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ზესამ შემკერავ საამქროში, სადაც ვეგეა 100 პროცენტით შეასრულეს, მაგრამ 75 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქციის ნაცვლად მხოლოდ 64,5 პროცენტი გამოუშვეს.

საამქროო ომის ეითარებაში მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას ამოცანა: დაოფალავად იმუშაონ ომისათვის, რომ ეუზრუნველყოფ გეგმების გადაჭარბებით შესრულება, დაიცვან ხარისხი, იმუშაონ გრაფიკის ზუსტად დაცვით, შემდგომ განამტკიცონ საწარმოო დისციპლინა, ათამაღლონ შრომის ნაყოფიერება, ვადაზე შესასრულონ ფრონტზე შეკვეთები, ყველა ზომა მიიღონ, რათა შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით ხელი შეუწყონ საერთო ალმავლობას საწარმოში. ეს არის ახლა საჭირო.

გამჭრიახები ფაშისტური ურდოები საბრძოლო წინ მოისროვიან ჩვენი საშობიერო სასიკეთესო ცენტრებისაკენ. გზა გადაეუღოთ მათ, შეეჭიროთ და გავანადგურეთ. ამისათვის საჭიროა სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას აძლევდეს ფრონტს, ჩვენს ქვეყანას, რათა გმირმა წითელ მა არმიამ, რომლის უმაღლესი მთავარსარდალია დიდი **სტალინი**, წარმატებით შესრულოს თავისი დიადი მისია—გასწმინდოს საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

ზმრიული შრომით დავაჩქაროთ ეერაგი მტრის განადგურება!

ბრძოლები ეორონეჟის სამხრეთით

მოსკოვი არმია, 7 აგვისტო (საადგილის სპეც. კორესპონდენტისაგან). ეორონეჟის სამხრეთით ჩვენმა ნაწილმა ძლიერი დარტყმა ადეა მტერს. საბჭოთა მებრძოლებმა დონი გადალახეს და ეერაგი მიეტანეს მეკერნე. მტერი ცეცხლთა წინააღმდეგობას ეეგიეეგა. ჩვენი ქვეითი ჯარი, რომელსაც ავიაციი და არტილერია ეხმარეზოდა, დაეერეხა მიეწეედა წინ. მებრძოლები ეი მეთოერეხი ხელ-ჩართულ შეტაკებებს უმართავდნენ ფაშისტებს და გრანატებით ერეკეზოდნენ მათ მეწერა საცეცხლე ეეგიებიდან.

საბჭოთა ქვეთანაყოფების ძლიერი შეტეკას შედეგად გარღვეულ აქნა მტრის თავდაეცის ხაზი. შედაღლისათვის მეკეტმტერები გარსაშემოკეტავენ მტრის გარნიზონებში მდებარე ჯერ ერთს, ხოლო მის შემდეგ მეორე სიდეკლ. დასახლებულ პუნქტებში მტრის ხანმოკლე ეეგიეეგა ეყო. მებრძოლები აქ მოსპეს ხანმოკლე ეყო. მებრძოლები ეეგ მოსპეს მტრის 2 ასეულამდე და განაგრძობენ ეკანგეეგა. ასეთი მუშაკი, როგორი რთული დავალებაც არ უნდა მიიღოს, კი არ დაიბნეეგა, ფაციფუცს კი არ დაიწყებს, საბეერეო ორიენტრის კი არ დაკარგავს, არამედ ადგილობრივ გამონახავს ძალებსა და საშუალებებს მის შესასრულებლად. ეს ასეთი მუშაკი ხელს უწყობენ მრეწველობის მძლავრ ალმავლობას, ისინი უზრუნველყოფენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებას არამარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც.

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკამ ივლისში გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. ეს იმიტომ მოხდა, რომ იქ ხარისხს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ, სისტემატურად ინალიზებენ ამ საკითხს და სახავენ ღონისძიებებს ხარისხის დაცვისათვის. მაგრამ ზოგიერთ საწარმოში ამ საკითხს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, ხარისხის კომპენსირებას რაოდენობით. ცდილობენ, რაც სწორი არ არის. ასე ხდება, მაგალითად, თბილისის ბეჩოის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მესამე შემკერავ საამქროში, სადაც ვეგეა 100 პროცენტით შეასრულეს, მაგრამ 75 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქციის ნაცვლად მხოლოდ 64,5 პროცენტი გამოუშვეს.

საამქროო ომის ეითარებაში მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას ამოცანა: დაოფალავად იმუშაონ ომისათვის, რომ უზრუნველყოფ გეგმების გადაჭარბებით შესრულება, დაიცვან ხარისხი, იმუშაონ გრაფიკის ზუსტად დაცვით, შემდგომ განამტკიცონ საწარმოო დისციპლინა, ათამაღლონ შრომის ნაყოფიერება, ვადაზე შესასრულონ ფრონტზე შეკვეთები, ყველა ზომა მიიღონ, რათა შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით ხელი შეუწყონ საერთო ალმავლობას საწარმოში. ეს არის ახლა საჭირო.

გამჭრიახები ფაშისტური ურდოები საბრძოლო წინ მოისროვიან ჩვენი საშობიერო სასიკეთესო ცენტრებისაკენ. გზა გადაეუღოთ მათ, შეეჭიროთ და გავანადგურეთ. ამისათვის საჭიროა სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას აძლევდეს ფრონტს, ჩვენს ქვეყანას, რათა გმირმა წითელ მა არმიამ, რომლის უმაღლესი მთავარსარდალია დიდი **სტალინი,** წარმატებით შესრულოს თავისი დიადი მისია—გასწმინდოს საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

მკერეული შრომით დავაჩქაროთ ეერაგი მტრის განადგურება!

ბრძოლები ეორონეჟის სამხრეთით

მოსკოვი არმია, 7 აგვისტო (საადგილის სპეც. კორესპონდენტისაგან). ეორონეჟის სამხრეთით ჩვენმა ნაწილმა ძლიერი დარტყმა ადეა მტერს. საბჭოთა მებრძოლებმა დონი გადალახეს და ეერაგი მიეტანეს მეკერნე. მტერი ცეცხლთა წინააღმდეგობას ეეგიეეგა. ჩვენი ქვეითი ჯარი, რომელსაც ავიაციი და არტილერია ეხმარეზოდა, დაეერეხა მიეწეედა წინ. მებრძოლები ეი მეთოერეხი ხელ-ჩართულ შეტაკებებს უმართავდნენ ფაშისტებს და გრანატებით ერეკეზოდნენ მათ მეწერა საცეცხლე ეეგიებიდან. ნებსაყოფლობით დაპყარა ინარიდი ეი ტყვეე დაეეეზა. ხელ მალად მოსპობილ იქნა ყველა ეინც წინააღმდეგობას გაწევენ განაგრძობდა. ამ პოეტმოსაბრძოლეს ბრძოლებში ,დროს განაგრეეეზოდა ,ეეე

ლენინ-სტალინის უძლეველი დროშით წინ, გერმანელ დამპყრობთა გასანადგურებლად!

პირობები

კავშირგაბმულობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა

საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის მუშაკები, აღფრთოვანებულნი თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით, აღგზნებული არიან სურვილით იმუშაონ ზუსტად, შეწყობილად, მაღალნაყოფიერად, რათა დაეხმარონ წითელ არმიას სავსებით გაანადგუროს 1942 წელს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და გაათავისუფლოს მშობლიური საბჭოთა მიწა-წყალი საძულველ მტრისაგან.

გორკის ოლქის კავშირგაბმულობის მუშაკებმა მიმართეს საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის ყველა მუშაკს წინადადებით — მოეწყოს კავშირგაბმულობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ფრონტისა და ზურგის საჭიროებებს ზუსტი და შეუფერხებელი მომსახურება გაეწიოს კავშირგაბმულობის საშუალებებით.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი, მხარს უჭერენ რა გორკის ოლქის კავშირგაბმულობის მუშაკთა ინიციატივას, აცხადებენ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

I.

ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) კავშირგაბმულობის მეურნეობისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) კავშირგაბმულობის მუშაკთა ის კოლექტივები, რომლებიც შეასრულებენ შემოსავლის, გაცვლა-გამოცვლის, განვითარების, კაპიტალური მშენებლობის, სახაზო და სასადგურო ნაგებობათა რემონტის დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს და უზრუნველჰყოფენ ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) საფოსტო და ელექტროკავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

კავშირგაბმულობის ცალკეული საწარმოებისათვის:

ტელეგრაფებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ტელეგრაფები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საუკეთესო მაჩვენებლებს დეპეშების გზავნა-მიწოდებაში, მოწყობილობისა და აპარატურის სანიმუშოდ შენახვას, საუკეთესო მაჩვენებლებს გამომუშავების ნორმების შესრულებაში და ტექნიკურ გაჩერებათა ლიკვიდაციაში.

საქალაქთაშორისო და საქალაქო სატელეფონო სადგურებისა და ქსელებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის სატელეფონო სადგურები და ქსელები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მოლაპარაკების გაცვლა-გამოცვლის გეგმის და განვითარებისა და რემონტის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, მიაღწევენ წყებების გამოყენების ყველაზე მაღალ კოეფიციენტს, მოწყობილობათა სანიმუშოდ შენახვას.

რადიოსადგურებისა და რადიოსატრანსლაციო კვანძებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის გადამცემი და მიმღები რადიოსადგურები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მოწყობილობისა და აპარატურის სანიმუშოდ შენახვას, ტრანსლაციების მაღალ ხარისხს, რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის არხების შეუფერხებელ მოქმედებას და საზაზო ნაგებობათა საუკეთესო მდგომარეობას.

სახაზო-ტექნიკური კვანძებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის სახაზო-ტექნიკური კვანძები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კავშირგაბმულობის სახაზო ნაგებობათა სანიმუშოდ შენახვას, დაზიანებათა უმოკლეს ხანში აღმოფხვრას, ხაზების რემონტის გეგმის დაწესებულ ვადებში შესრულებას საუკეთესო შეფასებით.

რკინიგზებითა და წყალტრანსპორტის გზებით საფოსტო გადაზიდვის განყოფილებებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საფოსტო გადაზიდვის ის განყოფილებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ფოსტის შეუფერხებლად გადაზიდვას გრაფიკების მიხედვით, რომლებსაც არ ექნებათ სხვა ადგილას შეცდომით გაგზავნა-შეზიდვა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ექსპლოატაციაში საფოსტო ვაგონების სანიმუშოდ შენახვასა და გამოყენებას.

საფოსტო კანტორებისა და განყოფილებებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის საფოსტო კანტორები და განყოფილებები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ფოსტის შეუფერხებლად დამუშავებას და გაგზავნას გრაფიკის მიხედვით და ადრესატებისათვის კორესპონდენციისა და პრესის დაწესებულ საკონტროლო ვადებში მიწოდებას.

პრესის გავრცელებისა და ექსპედირების საწარმოებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან პრესის გავრცელებისა და ექსპედირების ის საწარმოები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პრესის გავრცელების გეგმის შესრულებას, ტირაჟების სწორად განაწილებას და მიაღწევენ ხელისმომწერთა ზუსტად მომსახურებას.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ქარხნებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ქარხნები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, კავშირგაბმულობის აპარატურისა და მოწყობილობის რემონტის გეგმის ყველაზე მეტი გადაჭარბებით შესრულებას, გეგმის გადამეტებით სათადარიგო ნაწილების და ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის დამატებითი რაოდენობის გამოშვებას.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მშენებლობებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშენებლობის ობიექტებზე სამუშაოთა შესრულებას დაწესებულ ვადებში, მშენებლობის მაღალ ხარისხს და მისი ღირებულების მაქსიმალურ გაიაფებას.

II.

ოლქის, მხარის, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა იმ კოლექტივს, რომელიც უზრუნველჰყოფს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობების საუკეთესოდ შესრულებას, მიენიჭება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დაწესებულია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით.

გარდა ამისა, შეჯიბრებაში გამარჯვებულებს — ტელეგრაფების, საფოსტო საწარმოების, საქალაქთაშორისო და საქალაქო სატელეფონო სადგურების, რადიოსადგურებისა და სატრანსლაციო კვანძების, სახაზო-ტექნიკური კვანძებისა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ქარხნების კოლექტივებს—მიენიჭებათ საკავშირო პროფსაბჭოს და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშები.

იმ მოწინავე საწარმოთა წასახალისებლად, რომლებიც შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ, წესდება: 3 პირველი პრემია, 7 მეორე პრემია, 10 მესამე პრემია.

კავშირგაბმულობის ის მუშაკები, რომლებიც გვიჩვენებენ მუშაობის მაღალ ნიმუშებს, წარდგენილი იქნებიან დასაჯილდოებლად „სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის" ნიშნით, „კავშირგაბმულობის ოსტატის" წოდებით და ფულადი პრემიებით.

III.

შეჯიბრების შედეგებს აჯამებენ საკავშირო პროფსაბჭო და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი ყოველთვიურად, არაუგვიანეს 10 რიცხვისა, დაწყებული 1942 წლის ივლისიდან, და აქვეყნებენ პრესაში.

ყველა ოლქში (მხარეში, რესპუბლიკაში) ეწყობა სოციალისტური შეჯიბრება ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) კავშირგაბმულობის საუკეთესო საწარმოსათვის. საწარმოებში ეწყობა სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო უბნისათვის, საუკეთესო საამქროსათვის, საუკეთესო ბრიგადისათვის, საუკეთესო ცვლისათვის.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირგაბმულობის მუშაკები, მჭიდროდ დარაზმულნი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გვიჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს, მიაღწევენ ახალ წარმატებებს და ამით დაეხმარებიან ჩვენს სახელოვან წითელ არმიას 1942 წელს საბოლოოდ გაანადგუროს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და განდევნოს ისინი საბჭოთა მიწა-წყლიდან.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნა

როგორ მუშაობს ჩემი ცვლა

ჭიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში მოსამზადებელ ცვლას ვხელმძღვანელობ. ახალი სანგრევების კარგად და ხარისხიანად მომზადება მეტი მარგანეცის ამოღების წინაპირობაა. თუ სანგრევებსა და ლავებს კარგად მოაწზადებ, ექსპლოატაციის ცვლაც კარგად იმუშავებს, წარმატებით შესრულდება მარგანეცის გამოღების გეგმა.

ჩემმა ცვლამ ივნისის დავალება 115 პროცენტით შეასრულა. ეს მაჩვენებელი კარგი მიღწევაა ჩვენს მაღაროში. ივლისში კიდევ უფრო უკეთეს მაჩვენებელს მივაღწიეთ.

როგორ ვაღწევთ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას?

სანამ ჩვენი ცვლა მაღაროში სამუშაოდ წავიდოდეს, უბნის გამგესთან ერთად გულდასმით ვათვალიერებ ყოველ სანგრევსა და ლავს, ვარკვევ, თუ რომელ სანგრევში რა სამუშაოა შესასრულებელი. შემდეგ უბნის გამგისაგან ვღებულობ წერილობით განრიგს, რომლის მიხედვითაც ვამზადებთ ახალ სანგრევებს. მუშაობის პროცესში ხშირად ვამოწმებ შესრულებული სამუშაოს ხარისხს. თუ სადმე დარღვეულია სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წესები, თუ სადმე ნაკლოვანებაა, — მას მყისვე გზადაგზა ვასწორებთ.

ხშირად ვესწრები აგრეთვე საექსპლოატაციო ცვლის მუშაობას და თვალყურს ვადევნებ, თუ რა უშლის მუშაობაში ხელს მარგანეცის ამწმენდს. ამას ვითვალისწინებთ მეორე დღის მუშაობისას, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს.

ჩემს ცვლაში მაღალკვალიფიციური მებიგეები, მბურღავები და გზის ოსტატები არიან. მებიგე ამხ. ვ. გურაბანიძე დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობენ გზის ოსტატი ამხ. ვ. ღლონტი... [illegible] ...ღუნიშვილი და მბურღავი გ. თაბაგარი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ახალმოსულ მუშებს, ვასწავლით მათ მაღაროში მუშაობის ხელოვნებას. ახალგაზრდა მუშა ამხ. ალ. თაბაგარი ორი თვეა მაღაროში მოვიდა, იგი მივამაგრეთ გამოცდილ მბურღავს ამხ. შ. შუკაკიძეს, რომელმაც შეასწავლა მას ეს საპატიო პროფესია. ახლა ამხ. თაბაგარი მოწინავე მბურღავია. ასევე ამხ. დ. გაფრინდაშვილი კვალიფიციური მებიგის ამხ. გ. გურულის დამხმარე იყო. მან შეასწავლა მებიგეობა ამხ. გაფრინდაშვილს, რომელიც ახლა დამოუკიდებლად მუშაობს და დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. ასეთი მუშაობით მივაღწიეთ იმას, რომ ჩემს ცვლაში არც ერთი ჩამორჩენილი მუშა არ არის, დავალებას ყველა გადაჭარბებით ასრულებს.

ჩემი ცვლა მომავალშიც თავდადებულად იმუშავებს, იბრძოლებს მეტალურგთა სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, ფრონტსა და ქვეყანას მისცემს მეტსა და მაღალხარისხოვან მარგანეცს.

ინჟ. თ. ნადირაძე

ჭიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ცვლის უფროსი.

კომბაინის მაღალი ნაყოფიერება

12 წელია ყარაიის მტს-ში ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში სტახანოვური მუშაობით მრავალ წარმატებას მივაღწიე როგორც ტრაქტორზე, ისე კომბაინზე. მაგრამ წელს, უმთავრესად სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, განსაკუთრებული მონდომებით ვცდილობ ახალ წარმატებებს მივაღწიო.

წელს ჯერ კიდევ მოსავლის კომბაინით აღების დაწყებამდე ტრაქტორით, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 462 ჰექტარისა, დავამუშავე 1.056 ჰექტარი და დავზოგე 577 კილოგრამი საწვავი მასალა.

მოსავლის აღების საქმეში სოცშეჯიბრებაში ჩაბმული ვარ კომბაინერ-ბრიგადირ ს. ზაკურდაევთან და კომბაინით ნაცვლად დღიური ნორმით გათვალისწინებული 9 ჰექტარისა, მოსავალი ავიღე 19 ჰექტარამდე. საშუალოდ კი მოსავალს დღეში ვიღებ 14-15 ჰექტარზე. წელს სულ მოსავალი 210 ჰექტარის ნაცვლად ავიღე 300-მდე ჰექტარზე, ამავე დროს დავზოგე 100 კილოგრამზე მეტი ბენზინი.

რით მივაღწიე ამ წარმატებას? შრომის სწორი ორგანიზაციით. ჩემს აგრეგატზე საკასებით აღმოფხვრილია დაგვიანება და გაცდენები. აგრეგატის თითოეული მუშაკი კარგად იცნობს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას კომბაინერთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ. მუშაობის დაწყებამდე ასაღებ ფართობს ყოველთვის წინასწარ ვამოწმებ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად და ყველა ზომას ვიღებთ იმისათვის, რომ ასაღები ფართობი მომზადებული იყოს კომბაინისათვის — ტარდება შემოცელვა, ბუჩქებისა და ქვებისაგან გაწმენდა, სარწყავი კვლების გასწორება და საქცევის დაჭრა, რასაც პირადად მე ვხელმძღვანელობ.

როგორც წესი, აგრეგატის მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს. მანქანების მუშაობის დაწყებამდე წინასწარ მზადდება ყველაფერი, რაც საჭიროა, სწარმოებს ნაწილების გაწმენდა, დაზეთვა, საწვავის ჩასხმა და სხვ., შემდგომი ტექმოვლა კი, აგრეთვე მცირე დაზიანებათა გასწორება ხდება მოსავლის აღების პროცესშივე, ბუნკერის თითოეული დაცლის დროს, ისე რომ მანქანები არ ცდება. აგრეგატი არ ჩერდება სადილობის დროსაც. ამ დროს მუშაობს ჩემი თანაშემწე კომბაინერი ევდოკია ჩუმაკოვა, რომელიც უკვე ცნობილი გახდა გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში.

ამჟამად მოსავალს ვიღებ სოფ. ნაზარდოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. პირობას ვიძლევი კიდევ უფრო გავაძლიერო მუშაობა მტს-ში და ყველაფერი გავაკეთო მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ქ. ჩხიკვაძე

ყარაიის მტს-ის კომბაინერ-ბრიგადირი

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა რურს

ლონდონი, 7 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 6 აგვისტოს ღამით ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ რურს. იერიშების მთავარი ობიექტი დუისბურგი იყო. ბომბები დაუშინეს აგრეთვე მტრის აეროდრომებს ჰოლანდიაში. ამ ოპერაციებიდან თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა 6 თვითმფრინავი.

მტრის მცირე რაოდენობის თვითმფრინავებმა იმ ღამესვე დააყარეს ბომბები აღმოსავლეთ ინგლისის მთელ რიგ პუნქტებს. მსხვერპლი დიდი არ არის. ნგრევა უმნიშვნელოა.

მდგომარეობა ეგვიპტის ფრონტზე

ლონდონი, 7 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა. მძიმე ბომბდამშენებმა ტობრუკსა და მერსა-მატრუხში მოწინააღმდეგის გემებსა და ნავსადგურის ნაგებობებზე მიიტანეს იერიში. ბომბები მოხვდა ჰიდროთვითმფრინავების ბაზას, ნავთსასხმელ კარჭაპებს და მოტორიან გემებს. ორივე პუნქტში ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის ფრონტზე ორივე მხარე ჩქარობს თავის ნაწილები შეავსოს და ბრძოლაში დაკარგული იარაღი შესცვალოს. სამხრეთ იტალიიდან და ტრიპოლიდან იტალიელთა ჯარები გადაჰყავთ; კრეტის კუნძულიდან ტობრუკში გერმანელთა მაშველი ჯარები მოდის. გერმანელები თავიანთი სატანკო ძალების ალსადგენად მუშაობენ. ტანკებით დატვირთული კარჭაპები სანაპიროს გასწვრივ მიიწევენ მე-15 და 21-ე სატანკო დივიზიების მოწინავე პოზიციებისაკენ. გერმანელებს გემებით გადაჰყავთ აგრეთვე ქვეითი ჯარი და გადააქვთ საწვავი მასალის ახალი მარაგი.

რომმელმა გასცა ბრძანება სანგრების აგებისა და ნაღმიანი ველების შექმნის საჭიროების შესახებ. დამატებით იდგმება საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები.

ინგლისელები თავიანთი ჯარების შევსებისა და გაძლიერების პროგრამის განხორციელებას განაგრძობენ. ინგლისის არმიაში განუწყვეტლივ იზრდება ტანკებისა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა რაოდენობა. ელ-ალამეინთან ინგლისელთა ნაწილებში ამერიკელთა სატანკო ეკიპაჟები შედის.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 7 აგვისტო (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს იტალიის მეორე არმიის ნაწილებსა და იუგოსლავიის პარტიზანებს შორის დიდი ბრძოლები იყო დალმაციის მრავალ სანაპირო რაიონებში. ოპერაციებში 30.000-მდე იტალიელი ჯარისკაცი მონაწილეობდა. ოკუპანტების მოქმედებას ხელს უწყობდა მნიშვნელოვანი რაოდენობის არტილერია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლებიც ესროდნენ პარტიზანთა გამაგრებულ პოზიციებს სამხრეთ დალმაციის სანაპიროს გასწვრივ მდებარე მთების კალთებზე. ბოიკოვოს და დინარის მთების რაიონში იტალიელებმა სცადეს გარს შემორტყმოდნენ პარტიზანებს, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ამასთან 500-მდე კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით, ხოლო 40 კაცი ტყვედ ჩავარდა.

დიდი ბრძოლაა აგრეთვე ჩრდილოეთ დალმაციაში და დალმაციის კუნძულებზე, სადაც ოკუპანტებმა რამდენიმე სოფელი გადასწვეს და 100-ზე მეტი მცხოვრები დახვრიტეს. სასტიკი ბრძოლების შემდეგ პარტიზანთა დამკვრელმა რაზმებმა ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს ქალაქი ტომისლავგრადი. მათ ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა და რამდენიმე საწყობი სამარ მასალიანად.

გაფიცვა ამსტერდამში

ლონდონი, 7 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამსტერდამის ერთ-ერთი ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ნიშნად პროტესტისა მათთან ერთად მომუშავე ამხანაგების გერმანიაში გაგზავნის წინააღმდეგ. გაფიცვის დაწყების ერთი საათის შემდეგ ჰიტლერელებმა ქარხანაში დააბრუნეს მუშები.

პროტესტი ესპანელი რესპუბლიკელების ჰიტლერელთა ხელში ჩაგდების წინააღმდეგ

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). გაზეთმა „მანჩესტერ გარდიენმა" გამოაქვეყნა ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მიერ ხელმოწერილი წერილი იმის შესახებ, რომ ლავალს განზრახვა აქვს გერმანიაში გაგზავნოს იძულებით სამუშაოზე 100.000 ესპანელი რესპუბლიკელი, რომლებმაც ერთ დროს თავშესაფარი ჰპოვეს საფრანგეთში. თუ რესპუბლიკელებმა უარი განაცხადეს ნებაყოფლობით წავიდნენ იძულებით სამუშაოზე—ლავალი იმუქრება, რომ მათ ხელში ჩაუგდებს ფრანკოს საწამებლად. წერილის ავტორები მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხებს მოუწოდებენ პროტესტი განაცხადონ ლავალის დანაშაულებრივი გეგმის წინააღმდეგ.

სოფიაში 6 კომუნისტი დახვრიტეს

ჟენევა, 6 აგვისტო (საკდესი). სოფიიდან ჩამოსულმა პირებმა განაცხადეს, რომ 23 ივლისს სოფიის სამხედრო სასაფლაოზე 6 კომუნისტი დახვრიტეს: მელითონე მუშა, ბულგარეთის მუშათა მოძრაობის უძველესი მოღვაწე ანტონ ივანოვი, ანტონ პოპოვი, პეტრე ბოგდანოვი, ათანას რომანოვი, ნიკოლოზ ვაპცაროვი და გიორგი მინჩევი.

უკანასკნელ წუთს კომუნისტებმა იმღერეს ბულგარელი პოეტისა და რევოლუციონერის ხ. რ. ბოტევის ცნობილი სიმღერა: „ვინც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა, არა კვდება".

სიკვდილმისჯილთა მედგარმა საქციელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთში.

როგორც გამოირკვა, კომუნისტებს მსჯავრი დასდო სამხედრო ტრიბუნალმა „ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის" პროცესის მიხედვით, რაც ინსცენირებულ იქნა სოფიაში.

საზღვარგარეთ

შვედური პრესა იუწყება, რომ დააპატიმრეს ...

ავსტრალია აწარმოებს ახალ 57-მილიმეტრიან ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებს, ...

ფრანგი ხალხი ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძვის

ჟენევა, 7 აგვისტო (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის მთელ რიგ რაიონებში დიდი გაფიცვები და მასობრივი ანტიგერმანული დემონსტრაციები იმართება. არალეგალური ფრანგული გაზეთი „ვი უვრიერი" იუწყება, რომ გაფიცულია სონისა და ლუარის 5.000 მაღაროელი. გაფიცულებმა მოითხოვეს გერმანელები გააძევეთ შახტის ადმინისტრაციის შემადგენლობიდან და მატერიალური პირობები გაგვიუმჯობესეთო. მთელ საფრანგეთს მოედო ბრესტის არსენალის მუშათა გმირული ბრძოლის ამბავი; ამ მუშებმა უარი სთქვეს ამზადონ იარაღი ჰიტლერის არმიისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯა მოელოდათ, ფრანგმა პატრიოტებმა არ შესწყვიტეს გაფიცვა. გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებამ დიდი საპოლიციო და სამხედრო ძალები გაგზავნა გაფიცულთა წინააღმდეგ.

მათ მხოლოდ სისხლისმღვრელ შეტაკებათა შემდეგ მოახერხეს გაეტეხათ მუშათა წინააღმდეგობა.

ამ დღეებში სერიოზული მღელვარება მოხდა პარიზში. პარიზელები შეიყარნენ სასურსათო მაღაზიის წინ, რომელიც დაგერის ქუჩისა და ორლეანის ავენიუს კუთხეში მდებარეობს. გაისმა შეძახილები: „განვდევნოთ გერმანელები საფრანგეთიდან!". „ძირს ლავალის მთავრობა!". შემთხვევის ადგილას მივიდნენ პოლიციელთა ძლიერი რაზმები, რომლებმაც სროლა აუტეხეს შეკრებილთ. შეკრებილებმაც სროლით უპასუხეს. მოკლულია ერთი პოლიციელი და მძიმედ არის დაჭრილი ორი პოლიციელი და ერთი გერმანელი ჯარისკაცი. მოხდა მასობრივი დაპატიმრება.

ჰიტლერელები მასობრივი ტერორით ცდილობენ გასტეხონ ფრანგი ხალხის წინააღმდეგობა. მთელს საფრანგეთში ყოველდღე ხდება პატრიოტთა დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა.

მაგრამ მამაც პატრიოტებს ვერ აშინებს ვერც ტერორი, ვერც სიკვდილით დასჯა. ისინი ოკუპანტების მხეცობის პასუხად კიდევ უფრო აძლიერებენ ბრძოლას ჰიტლერელთა ბანდებისაგან საფრანგეთის განთავისუფლებისათვის. პარიზის ახლო მდებარე კურბევუას დიდ საავიაციო ქარხანაში ელექტროკაბელის დაზიანების შედეგად მწყობრიდან გამოყვანილ იქნა დიდი აგრეგატი. მარსელის ნავსადგურში პატრიოტებმა საწვავის ორი საწყობი დასწვეს.

უკანასკნელი ცნობები

ომი წყნარ ოკეანეში

მელბურნი, 7 აგვისტო (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მოკავშირეთა გაერთიანებული სარდლობის შტაბის ოფიციალური ცნობით, იაპონელებმა ოკუპაცია უყვეს კუნძულ არუს, ტენიმბერსა და კაის არაფურის ზღვაში, რითაც ისინი მეტად მოუახლოვდნენ ავსტრალიას. ტენიმბერის კუნძული სულ 300 მილზე მდებარეობს დარვინის ნავსადგურის ჩრდილოეთით.

გერმანიის თვითმფრინავები კვლავ არღვევენ შვეციის საზღვრებს

სტოკჰოლმი, 7 აგვისტო (საკდესი). გერმანიის თვითმფრინავების ფრენა შვეციაზე გრძელდება. შვეციის სამხრეთ ნაწილში ამ ფრენას სისტემატური ხასიათი აქვს. 3 და 4 აგვისტოს გერმანიის თვითმფრინავი და გერმანიის მფრინავი ნავი კვლავ დაფრინავდნენ შვეციის ტერიტორიულ წყლებზე სკონის სანაპიროსთან.

მოჰკლეს დორიოს ბანდის ერთ-ერთი მეთაური

ჟენევა, 7 აგვისტო (საკდესი). პარიზიდან მიღებული ცნობის თანახმად, რევოლვერით მოჰკლეს გაშელენი—ერთ-ერთი მეთაური დორიოს ბანდისა სენისა და უაზის დეპარტამენტში. თავდამსხმელი მიიმალა.

ანტიფაშისტური დემონსტრაციები შარლერუაში

მუშების მოღალატეობის პროფკავშირთა გაერთიანების შესახებ

ისტორიის გაკვეთილები

1918 წლის 8 აგვისტო

1918 წლის 8 აგვისტოს გერმანელებმა ომის „შავბნელი დღე" უწოდეს. ამავე დროს, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ზერელე მეთვალყურის თვალსაზრისით, თითქოს არავითარი ნიშნები არ იყო მომავალი კატასტროფისა. პირიქით, 1918 წლის მარტის დამლევიდან ივლისის შუა რიცხვებამდე გერმანელები განსაზღვრულ უბნებზე თავიანთი ძალების თავმოყრის შედეგად რიცხობრივი უპირატესობის მიღწევით დასავლეთის ფრონტზე თავბრუდამხვევ გამარჯვებებს აღწევდნენ.

გერმანიის არმიის ყველაზე უფრო წარმატებითი ოპერაციები იყო: ინგლისელთა სიმაგრეების გარღვევა ამიენის მიმართულებით, ინგლისელებისა და ფრანგების ფრონტების შესაყარში, სადაც ინგლისელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ და უკან დაიხიეს; შეტევა იპრსა და ლა-ბასეს შუა ფლანდრიაში, როცა მათ ინგლისელებს 20 კილომეტრით დაახევინეს; მუქარა, რაც გერმანელებმა შეუქმნეს პარიზს, რომელსაც ისინი 70 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ.

მაგრამ ყველა ეს გარღვევა მხოლოდ ტაქტიკური წარმატებები აღმოჩნდა. გერმანიას საკმაოდ აღარა ჰყავდა ძალები, რომ განემტკიცებინა და გაეფართოვებინა ეს გარღვევები. ორ ფრონტზე წარმოებულმა გაჭიანურებულმა ომმა გამოჰფიტა მისი შეზღუდული რესურსები. მოკავშირეებმა კი, რომლებიც სარგებლობდნენ შესვენებით, რაც მათ ომის განმავლობაში არაერთხელ ჰქონდათ, რადგან გერმანია იძულებული ხდებოდა ძალები რუსეთის ფრონტზე გადაეყვანა ხოლმე, მოასწრეს თავიანთი უზარმაზარი რესურსების მობილიზაცია, მიაღწიეს უპირატესობას არმიების ტექნიკური აღჭურვის მხრივ და მოამზადეს ადამიანთა რეზერვები. ამასთანავე საფრანგეთში უკვე გადასხდა ამერიკის 30-მდე დივიზია.

ივლისის შუა რიცხვებისათვის გერმანიას მთლად ამოეწურა ძალები იმ „გამარჯვებათა" შედეგად, რაც მის ძალას აღემატებოდა, და მოკავშირეები კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

8 აგვისტოს გერმანელთა ფრონტი გარღვეულ იქნა ალბერთან. გერმანელთა 7 დივიზია მთლიანად იქნა განადგურებული. გერმანელებს აღარ ჰყოფნიდათ ძალები გარღვევის ლიკვიდაციისათვის, და დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

გენერალმა ლუდენდორფმა თავის „მოგონებებში" 1918 წლის 8 აგვისტო აღნიშნა სიტყვებით: „ომი უნდა დაგვემთავრებინა".

8 აგვისტოს მომხდარ განადგურებას სექტემბერში მოჰყვა ინგლისელებისა და ფრანგების მძლავრი შეტევა მთელს ფრონტზე სანაპიროდან მდინარე მაასამდე. გერმანიის არმია თავშეუკავებლად მიექანებოდა თავისი საზღვრისაკენ.

3 ოქტომბერს გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა.

ამჟამად, გერმანელ ფაშისტ ავანტიურისტთა მეოხებით, გერმანია კვლავ აღმოჩნდა იმ პერსპექტივის წინაშე, რომ მას გასრესს ომის მიმდინარეობაში განმტკიცებული სახელმწიფოთა კოალიცია, რომელმაც თავისი უზრეტი რესურსების მობილიზაცია მოახდინა. ამჯერად ეს არის სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი კოალიცია.

ორჯერ გაყიდული ქვეყანა

1915 წელს გერმანიამ ჩაითრია ბულგარეთი თავის მოკავშირეთა რიცხვში, წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის ნება-სურვილისა. ბულგარელ ხალხს არ სურდა გამოსულიყო რუსეთის მოწინააღმდეგეთა მხარეზე, რადგან ძმურ სიყვარულსა და მხურვალე მადლობას გრძნობდა მისი შვილებისადმი, რომლებმაც ოდესღაც თავისი სისხლი დაღვარეს მისი განთავისუფლებისათვის. გერმანიის იმპერიალიზმმა გამოიყენა მაშინ თავისი დამქაში—ბულგარეთის მეფე ფერდინანდ კობურგი, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო, და რადოსლავოვის გამცემლური მთავრობა. ბულგარეთის ბურჟუაზიას ვილჰელმ II დაჰპირდა არაჩვეულებრივად უხვ სასყიდელს სხვისი ჯიბიდან—აღუთქვამდა მას საჩუქრად სერბიის, საბერძნეთის, თურქეთისა და რუმინეთის მიწებს, რაც, თუმცაღა, ხელს არ უშლიდა მას რუმინეთისა და საბერძნეთის მოსამხრობად დაჰპირებოდა მათ ბულგარეთის ტერიტორიების მიცემას.

150 ათასმა ბულგარელმა ჯარისკაცმა თავი დასდო სისხლისმღვრელი ბრძოლის ველებზე გერმანელი იმპერიალისტების გულისათვის. 300 ათასი დაჭრილიდან 160 ათასი დასახიჩრებული დარჩა. ბულგარეთი მთლად გაპარტახებული იყო. და ყოველივე ამისათვის ბულგარეთმა არა თუ ვერაფერი ვერ შეიძინა, არამედ, პირიქით, დაჰკარგა 11 ათასამდე კვადრატული კილომეტრი თავისი საკუთარი ტერიტორია 300 ათასი მოსახლეობით.

1918 წლის შემოდგომაზე ბულგარელი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. ბულგარეთის არმიამ მიატოვა ფრონტი და იარაღით ხელში აღდგა გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და თავის საკუთარ ქვეყანაში გამცემლების აღმოსაფხვრელად. ფერდინანდი გაიქცა სოფიიდან, სადაც აჯანყების ხანძარი გიზგიზებდა, რომ გვირგვინთან ერთად საკუთარი თავიც არ დაეკარგა.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ევროპაში ომის გაჩაღების შემდეგ გამოიყენეს თავისი აგენტურა ბულგარეთის მმართველ ზედაფენებში, რათა კვლავ გადაექციათ იგი თავის სტრატეგიულ პლაცდარმად. ამჯერადაც ეს მოხდა ბულგარელი ხალხის მკვეთრად გამოხატული ნება-სურვილის წინააღმდეგ და მისი ინტერესების საზიანოდ. ჰიტლერელებმა გადააჭარბეს თავის წინამორბედთ ამ ქვეყნის უმაგალითო ძარცვაში და ურჩებზე გესტაპოს საშინელი ტერორი გაავრცელეს. მაგრამ ბულგარელი ხალხი არ სწყვეტს ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. ამ დღეებში კვლავ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბულგარელ პატრიოტებს მასობრივად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. ჰიტლერელ ჯალათებს ალბათ ახსოვთ 1918 წ. შემოდგომა, მაგრამ შურისგებას ვერ აიცდენენ.

სამხატვრო გამოფენა „დიდი სამამულო ომი"

ოქტომბრის დღეებში მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის საუკეთესო მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა თემაზე: „დიდი სამამულო ომი". ეს გამოფენა ასახავს, ერთის მხრით, საბჭოთა ხალხის გმირობას დიდი სამამულო ომის დღეებში და, მეორე მხრით, ფაშისტთა ურდოების მხეცობას დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე.

გამოფენაში „დიდი სამამულო ომი" მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საქართველოს მთელი რიგი მხატვრები და მოქანდაკენი. სტალინური პრემიის ლაურეატი უ. ჯაფარიძე ხატავს საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახოკიძის პორტრეტს. ი. ვეფხვაძე დახატავს სურათს „მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა ოდესაში". ი. თოიძე გამოფენს ხუთ სურათს, რომელთაგან ოთხი ამჟამად გამოფენილია თბილისის სამხატვრო გალერეაში, ხოლო მეხუთეს — „ი. ბ. სტალინი —სარდალი", ი. თოიძე ახლა ხატავს. ვ. სიდამონ-ერისთავი მუშაობს თემაზე — „საბჭოთა ქალი სამამულო ომში". ქ. მაღალაშვილი წარადგენს „გმირის პორტრეტს".

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქანდაკებები: ვ. თოფურიძის „პარტიზანები", ი. ნიკოლაძის — გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძის ბიუსტი, ქ. მერაბიშვილის — საბჭოთა კავშირის გმირის ბიუსტი და სტალინური პრემიის ლაურეატის ს. კაკაბაძის — არმიის გენერლის ჟუკოვის ბიუსტი.

ლენინგრადის კომედიის თეატრის გასტროლები

6 აგვისტოს რუსთაველის თეატრში დაიწყო ლენინგრადის კომედიის თეატრის გასტროლები ა. გლადკოვის გმირული კომედიით „დიდების აღზრდილნი". ეს პიესა აგვიწერს რუსი ხალხის გმირულ ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ. სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა და მაყურებელმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო დასს.

ლენინგრადის კომედიის თეატრი უკვე 7 წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მან საინტერესო სპექტაკლები შექმნა. გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდე თეატრი მუშაობდა ლენინგრადში და დიდი წარმატებით სარგებლობდა. ეს აიხსნება, ერთის მხრით, რეპერტუარის კარგი შერჩევით, და, მეორე მხრით, სპექტაკლის მაღალი მხატვრული ღირსებითა და აქტიორული შესრულებით.

ლენინგრადის თეატრში მუშაობენ ისეთი ნიჭიერი მსახიობები, როგორიც არიან ი. ზარუბინა, ლ. სუხარევსკაია, ქ. გურეცკაია, ტ. სუკოვა, ი. კრივიცკი, ბ. ტენინი, ჟ. ლეპცკი, ი. ხანზელი, ე. იუნგერი, ა. სევასტიანოვი, პ. სუხანოვი, ლ. კოლესოვი, ი. სმისლოვსკი, ვ. ფლორინსკი, ნ. ზარჩენკო, ა. სმირნოვი და სხვ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. აკიმოვი.

თეატრი თბილისის მაყურებელს უჩვენებს თავის რვა საუკეთესო დადგმას: ა. გლადკოვის „დიდების აღზრდილნი", ლოპე დე-ვეგას „ძაღლი თივაზე", ა. ოსტროვსკის „ხელსაყრელი ადგილი", რასკინისა და სლობოდსკის „ის, ვისაც ეძებდნენ", შკვარკინის „უბრალო ქალიშვილი", ლეტრაზის „ბავშვი", ვერნეილის „ელენეს მოტაცება" და პრისტლის „საშიში მოსახვევი".

სპექტაკლს დიდძალი ხალხი ესწრება.

კონსულტაცია

10 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის რააგიტპუნქტში (საბჭოს ქ. № 134) შესდგება ამხ. კაჭარავას კონსულტაცია ქართულ ენაზე.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.